

მეცხრი

საოჯგოლ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

13 ოქტომბერს.

გამოიცემა

№ 8

კვირაოზით

1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიაპოლის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.
ცალკე ნომერა „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შაურჩი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრაჟონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილებს:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. შვალაძის წიგნის მაღაზიაში. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Театръ“.
კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილეს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ქართული თეატრი

დღეს, კვირას, 13 ოქტომბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარბოღენილი იქნება

I სანუშა

სამ მოქმედებიანი კომედია ა. საგარეილისა.

II

ჩვერ დელა და მერე შვილი

კომედია 1 მოქმედ. გადმოთარგ.

მოთამაშენი: მ. მ. სფერაჯი-ბაშაძისა, ნ. მ. გუგუნი-გაგაძისა, ნ. მაღალავისა, მ. მინაროჯისა, გ. აბაშიძე, გ. მქსიძე, ბ. ლომიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე.


ქართული თეატრი

კვირას საღამოს, 6 ოქტომბრისთვის არწრუნისეულს თეატრში დაიწყო ქართული წარმოდგენების სეზონი, ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილის არტისტის, ბ. მ. აბაშიძის მეთაურობით. იშვიათი შემთხვევა გვაიძულებს აქ ორი-ოდე სიტყვით მივმართოთ მკითხველებს ექვსის გასაფანტავათ. მაზეთის „თეატრის“ რედაქტორი და გამომცემელი და ქართული თეატრის მოთავე ერთი და იგივე პირია, ე. ი. მ. აბაშიძე. მრთმანეთში ყიზილბაშურს პირფერობაზედ და ნათ-



დუონტან სვიფტი გამოჩ. ინგლის. მწერალი.

ლიმამობაზედ აღზრდილა მკითხველი უეჭველად იფიქრებს, რომ ჩვენს რეცენზიებში გუნდრუკის კმევისა და ქება-დიდებას მეტი არაფერი იქნება. რამდენად სინილისიერად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, ამას მკითხველი შემდგომი დაინახავს; მანამდის კი ვთხოვთ, რომ ექვი და წინადადებული აზრები ჩვენმა მკითხველებმა ეხლავე თავიდან აიცილონ. ჩვენს ცხოვრებაში ეს არა-ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ, მაგრამ დამიჯერეთ, რომ ამ გაზეთში მე მკუთნის ერთი პატარა კუნჭული, სადაც მე სრული გამგებელი და ბატონი გახლავართ.



და მის რედაქტორს არ შეუძლიან დაადგას თავისი veto.

ლაუბრუნდეთ ჩვენს საგანს. წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ეხლანდელი სიყვარული“, — გადმოკეთებული რუსულიდან — და „დატრიალდა ჯარა“. ამ უკანასკნელს ვოდვეილზედ არაფერს ვიტყვით, რადგანაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. საჭიროა მოკლედ გარდმოგვცეთ შინაარსი ამ კომედიისა. დეპარტამენტის ჩინოვნიკი, იაკობ სასტიკაცე, რომელსაც დაბლიდამ დაუწყვია და ბოლოს იქამდე „წმერთს უშველია“, რომ დეპარტამენტის განყოფილების მეუფროსის სავარძელზედ შესკუბებულა დილით ბაღში ყავას მიირთმევს და ტკბილს ოცნებებს მისცემია თავის ბედნიერებაზედ. აქვე გავიცნობთ იმის მეუღლეს, ნატოს, რომელიც, მართლა რომ, ერთი რაღაც ახირებული სულდგმულია. შოველსავე გრძნობას და ქვეყნიურს ინტერესებს მოკლებული, იმას ახსოვს მარტო პირუტყვიული მოთხოვნილებანი: ჭამა და ძილი. ეს უკანასკნელი ხომ ყველას ურჩევნია ქვეყანაზედ.

ახალგაზდა ქალი, ნუცა (საფაროვისა) ისეთივე ლამაზი და კეკლუცია, როგორც ყველა ნუცა, და ისეთივე სულით უმანკო და ჭკუათ ნორჩი როგორც ყველა ახალად პანსიონიდან გამოშვებული ქალი. შორეული ნათესავი იაკობ სასტიკაძისა, სტუდენტი ნიკო ახირებულაძე (ბ. ლომიძე), რომელსაც მოუნახავს თავის შორეული ნათესავი და მისს მფარველობას ქვეშ ეძებს სამსახურს, ძრიელ ცოტათა ჰგავს სტუდენტს, — ნამეტნავად იურიდიულს და ფილოლოგიურს ფაკულტეტებზედ ნამყოფს. ამათ მოუმატეთ ბებერი ჩინოვნიკი, იაკობ სასტიკაძის უმფროსი, რომლის წინაც ეს უკანასკნელი ნაჩიბაბას თამაშობს, — ჯამბარ-ჯამბარაშვილი და მაშინ, თვალ წინ გეყოლებათ მთელი კომპლექტი „ეხლანდელის სიყვარულის“ გმირების. „ახალს სიყვარულში“ არც ერთი ახალი ტიპი არ არის გამოყვანილი. არც ის ჩაითვლება ახალ მოვლენად, რომ კნიაზ ჯამბარ-ჯამბარაშვილს მაშინ გაჰკრა გაყინულს გულში სიყვარულის აღმა, როდესაც ცალი ფეხი „სამარისკენ გაუშვერია“, — და ახალგაზდა ნინოს მამამ ძალა დაატანა ეს გადახრწნული ბებერი შეერთო. მაგრამ დრამატიული ხელოვნება უთუოდ არ ითხოვს, რომ ყოველს დრამატიულს ქმნილებაში უთუოდ ამერიკა იყოს აღმოჩენილი, პირველი და თავი და თავი მოთხოვნილება ის არის, რომ კომედიაში ანუ დრამაში გამოყვანილი პირები აღებული იყვნენ ნამდვილი, რე-

ლური ცხოვრებიდან; მათში სარკესაფერად დაფიქრეთ ჩვენი თავი, ჩვენი ნაცნობები და სხ. გარდა ამასი, ხასიეთები გამოიხატება არა ლამაზ, ანუ საძაველ სიტყვებში და გრძელ მონოლოგებში, არამედ მათ ქცევაში და იმ დრამატიულს მდგომარეობაში, რომელშიაც მათ ავტორი ჩააყენებს. ამ მხრით „ეხლანდელი სიყვარული“ ხელოვნურად არის დაწერილი და ქართულს რეპერტუარში შესამჩნევს ალაგს დაიჭერს. შმაფერეს როლებში: იაკობ სასტიკაძისა და იმის ქალის, ნინოს — გამოვიდნენ ბ. აბაშიძე და ქ. საფაროვისა, რომელთაც ჩვეულებრივის ნიჭით შეასრულეს თავიანთი როლები. ბ. აბაშიძემ მეტის მეტად ხელოვნურად დაგვიხატა კანცელარიის ჩინოვნიკის ტიპი, რომელსაც ცხოვრებაში გზის მნათობელ სვეტად აქვს ერთად ერთი პრინციპი: განუსაზღვრელი მორჩილება და შიში თავისი, მეუფროსისა. ამ დროშას შეჭფარებია თავიღამვე იაკობ სასტიკაძე, უწვებლად გაუვლია ვიწრო და საფრთხეებით სავსე გზა ცხოვრებისა და ბოლომდე მასვე სცემს თავყანსა. თავით ბოლომდე ბ. აბაშიძის თამაშობა იყო სასტიკად აწონილი და შეხამებული (выдержанный); ქ. საფაროვისა, ჩვეულებისამებრ, მოხდენილად და შეგნებით თამაშობდა ახალგაზდა ქალის ნინოს როლს, თუცა თავით ბოლომდე თანაბარად ვერ გაატარა და ალაგ-ალაგ ნახტომის შეშლა ეტყობოდა. შველაზედ უკეთესათ გამოუვიდა სცენა, პირველს მოქმედებაში, როდესაც სტუდენტს ახირებულაძეს ტანისამოსს უწუნებს და „კავალერის“ წესებს ასწავლის. აქ, ქ. საფაროვისა იყო უწუნო და უზადო. მაგრამ უსამართლობა და წინდაუხედაობა იქნება, რომ არტიტების თამაშობის დამფასებელმა (რეცენზენტმა) ყურადღება არ მიაქციოს იმ გარეგან მიზეზებს, რომელსაც ნიჭთან არაფერი კავშირი არა აქვსთ, მაგრამ აუცილებელი ზედ მოქმედება კი აქვსთ თამაშობაზედ. მნა დაშვება რაიმე საყვედური უთხრათ ქ. საფაროვისას, რომელსაც მესამე მოქმედება თითქმის მთლად გაუფუჭდა იმიტომ, რომ რაღაც სამფეხა სკამი დაედგათ და სიმარდის მადლობელი უნდა იყოს, რომ სტოლ ქვეშ არ შევარდა ამისთანა მოწყობილებაში მხოლოდ ჩვენს, ყოველად ამტანს არტიტებს შეუძლიანთ. არ შეგვიძლიან არ უსაყვედუროთ ჩვენს ბანკს, რომელმაც თეატრის ქირას ასწია, სასტიკი პირობეებით და ათასი მუხრუჭებით შეკრა ჩვენი ლატაკი ტრუპა და უკანასკნელი სკამის გამოცვლასაც კი არა კისრულობს. მაგრამ ჩვენი ბანკის ოინაზობაზედ ქართულის თეატრის შესახებ ცალკე მოვილაპარაკებთ შემდეგ ნომერში.



ახალა jeun premier-ის, ბ. ლომიძის თამაშობაზედ ჯერ არ ძეგვიძლიან გადაჭრით გამოვსთქვათ ჩვენი აზრი. მოხდენილი შეხედულობა, კაფიეთი გამოთქმა და კარგი ხმა ბ. ლომიძისა იმედს გვაძლევენ, რომ ჩვენ სცენას თავის დროზედ რიგიანი jeun premier-ი ეყოლება.

ხალხი ძრილედ ცოტა დაესწრო პირველ წარმოდგენაზედ და ვინც კი დაესწრო ძრილედ უპირფილი წავიდა.

X.

სხვა და სხვა ამბები

◆◆ რადგანაც სხვა-და-სხვა ადგილებიდან თბილისში შემოჭყუეთ ავათმეოფი საქონელი, სამოქალაქო საქონლის ექიმს წინადადება მიუცია თბილისის ქალაქის გამგეობისათვის, რომ მიღებულ იქმნენ ზომები ავათმეოფი საქონლის ცალკე დაბინავებისათვის და ფანბრთელ საქონელთან განშორებისათვის. ქალაქის გამგეობას მიუღია ეს წინადადება და ამ უამად შესდგომია ავათმეოფი საქონლისათვის საბინადრო ადგილის ძებნას.

◆◆ ნათლუნის პირველ დაწყებითი სასწავლებელი თან-და-თან უმჯობესდება ადგილობრივი მცხოვრებლების თვალში. წინა წლებში მოსწავლეთა რიცხვი ამ სასწავლებელში 20-ზე ნაკლები იყო და წრეულის კი ორმოცდა ათამდეა შევირილი.

◆◆ კვირას, ოკტომბრის 6-ს, მოხდა წლიური კრება თბილისის ნიკოლოზის სასწავლებლის ღირსი მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოებისა, რომელზედაც განხილულ იქნა წლიური ანგარიში კომიტეტისა 1885 წ.— აღმოჩნდა, რომ წლის დასაწყისში საზოგადოებასა ჰქონია 468 მ. 37 კ. ამ ფულებიდან წლის განმავლობაში დახარჯულა 81 მ. 80 კ. საიღამაც 80 მან. საზოგადოების სტეპენდიანტებს მისცე-

მა 1884 წლის სწავლის ქირისათვის. დანარჩენი 386 მ. 57 კ. საზოგადოების კასაშია, რომლიდანაც 380 მან. თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაშია შენახული.


◆◆ გაზ. «Нов. Врем.» აცხადებს, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბაქო-და-ბათუმის ნავთის გაყვანის პროექტი დიდის თანაგრძობით მიიღო, პროექტის განსახორციელებლად სხვებიც გამოჩნდნენ, რომელთაც უნდათ, რომ ბათუმში ნავთის გაყვანა იკისრონ კერძოთ, ხაზინის დაუნმარებლად.

◆◆ 27 ენკენისთვის გზათა სამინისტროს სსდომაში ისეგებოდა საქმე შესახებ მისა, თუ რა ნაირად უნდა ააშორონ რკინის გზა სურამის ქედს და შემოუარონ მას სხვა მხრით. («Луч № 38»).

◆◆ შავი ქვის მუშაობა ძრილედ გაცხარდა. ამ წელში ორ მალიონ ფუთამდე მარგანეცი გადმოიჯანეს ადგილებიდან ორმოცი ვერსტის სიშორეზე და გაგზავნეს სამუღვარს გარეთ. ზიდვას ვერ აუღიან. ეხლა ერთმა კაზბეგმა მოიყვანა რვა ასი აქლეში მარგანეცის საზიდავად. ქირა ფუთზედ 21—25 კაპეიკამდის არის დანიშნული. («მწყემსი» № 19).

სურათი მწყემსის ცხოვრებიდან

შედ დასაჩის, ოფელსა ლერის მიწას მისი მშრომელია. იქვე ერთი გლეხის ბავში გაჭბლავიან ხარებიო,



წყარო კლდიდან მწყემს ელიან, უძახიან: გაგვიღვი კარებიო.

გ აზნესულის დილა არის, წენარათა ჭჭრის ნაზი სიო, წყარო კლდიდან გადმოშუსუის, წმინდა როგორც ალმასიო. იმოსება დედა-მიწა, ტანზედ იცვამს ჭრელ მანტიას და ბუღბუღაიც საამო სმით ვარდს დას-ძახის „ტია-ტიას“. ხულდგმულებსა ჯარ სმინავსთ, სძლეკს წვედი-დასა გან-თიადი და მხეც სსივებს ოქროს იფრად ქვეყნად გზავნის, ის დიადი. ამ ქვეყნისა ერთ მთის ძირში ნაშენია სოფელიო,



მწვემისი იქვე ძარს ქვეშ წევს, თუქ სუტავს სახნად ზედ,
ტკბილად სმინავს შრომის შვილსა, თუმცა კი წევს ჭი-
ლობზედა.

შვილსა თავზედ წასდგომია ჭირ-ნანასი მისი დედა,
ძძიძეთ, ძძიძეთ სელსა წაჭკრავს და მისძახის ზედი-ზედა:
„ადე შვილო, ადე დროზედ, გაიღვიძე ჩემო ვანო,
საქონელსა მოშინია, უნდა მინდვრად გაიყვანო.
ახა შესე დერეფანში როგორ სტირის ჩვენი თინა,
იმ გუდ-რატას არ მიუდგა არც რწყება და არც ნანინა!“
მარლად ვანო ზე წამოსტა, დაიბანა ფიცხლავ პირი,
ჩოსას კალთით შეიწმინდა, აიწითლა მთლად თავ-პირი.
შინ შევიდა, დედა-ბოძთან აიკიდა მტკლით გუდა,
თავის ერთგულ მურა ძაღლით ისევე კარში გამობრუნდა.
ბავის კარები გაღლა, გაიჩვენა საქონელი,
მაულის და თანაც მღერის, მას ხანს აძლევს მთა და ველი.

მაგრამ დიდ-ხანს არ გასწია შეიცვალა დღის რაოდენობა
და მოიცვა შავ-ღრუბლებით, მთლად, დახულდა ტვე და
ველი.

ამოკარდა ქარიშხალი, განდა ჭერში გრიალი,
ფრინველთ შეწუვიტეს გალობა, ისმის და ფოთოლთ
შრიალი.

მწვემისი სწუსს და არსად არი მინდვრად თავის შესაფარი,
საქონელსა თავსა უყრის, წვიმა სტემს და ებრძვის ქარი.
იელავ და მთლად შეირყა მალდა რა და ძირს ქვეყნა,
გაი ამ ამბის გამგონეს: ვანო მესმა ჩაიტანა!
პირუტყვთაც იგრძნეს ვაება, შეჭქნეს ბღავილი, ღრიალი,
აღარ ჭუკვთ მწვემისი დამცველი, შეიქნენ ოხერ-ტიალი.
შვილის სიკვდილი შეიტყო, აგანკალდა დედა ახა,
გერ გაუძლო მწუსარებას, ისიც სველამ ჩაიტანა.

o. დ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წერილი ჭამხასთან.

პირველ წერილში, ჩემო ჭამხა, ბევრ რამეს დაგ-
პირდი. გურჯები იტყვიან, რომ დაპირება კაცს ცოლს
წაართმევსო. მეტი რა ჯანია, მეც უნდა შევასრულო და-
პირება. არ ვიცი კი საიღამ და რაზედ დავიწყო. მო-
საწერი იმოდენი მაქვს, რომ ვერ მამხერხებია პირველ-
ლად რა მოგწერო. მაგრამ შენ, ჭამხა, ალექსანდრიის
აკადემიაში მიგიღია სწავლა და მწერლობას დიდს თვალ-
ყურს ადევნებ. მოდი მეც მწერლობიდან დავიწყო.

პირველ წერილში გწერდი, რომ გონების სიზნ-
ტი და მცონარება აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, მეოქი.
მართალიც არის. ასეთს გონების სიზნტის და მცონა-
რებას, როგორც აქ, ვერსად შესვდები. რა არის ამის
მიზეზიო, მკითხამ შენ. ნამდვილი მიზეზისა რა მო-
გასვენო, მაგრამ გურჯებს რომ ჭკითხო, ისინი იმას
გამასუხებენ ვითომ ეს სიზნტი „იშეთეს არ წარმო-
სდგება... რა მშვენიერი თავის გასამართლებელი მი-
ზეზია! მხარ თქოთვე წამოწეა, ნურაფერზედ იფიქრებ,
ნურაფერს გააკეთებ, მარტო ჭამხა და სვი და როცა
გაიფუგედურონ, უმასუხე: რა კენა, გარემოება სელს
მიშლისო. მე არ ვიცი რა ქვე და ეშმაკია ეს რაღაც
სიზნტის „გარემოება“, თუმცა ის კი გარდა ვიცი, რომ
ამნაირას მიზეზით კაცს შეუძლიან უველასიერში თავი
გაიძირთლოს. ეს მიზეზი სწორედ იმ სწავლას მოგვა-
გონებს, რომელიც უველა გონიერს მიზეზს უარყოფს:
კაცს რაც უწეობა, ის უნდა გადახდეს... თუ ღარბი
ხარ, ალბად მაგრე გიწვია, ნუ რას იღარდებ და ინა-

ვლი... თუ ღატაკი მწერალი ხარ და ამასთანავე ზარმა-
ცი, ნურას ივითხამ, ნუ იბეჯითებ—ალბად ბედისაგან
გიწერია ყოველივე ეს. განა რა კარგია?! „დამოუკადე-
ბელი მიზეზი“ აქ მეტად „მოღაშია“...

ამის წინადაც ცხარე ხასია მქონდა ერთ გურჯთან,
რომელიც სწერს აქაურს ურნალში—„გურჯისტანში“.
რა არის მიზეზი, რომ თქვენ ურნალში სულ ნათარ-
გმნი რომანები იბეჭდება და გურჯისტანის ცნობრებაზე
კი ერთი წერილიც არც მეოქი, ვკითხე მე. მიზეზისა
მოჭევა ამ მთისას და ამ მთისას; ბევრი მიედ-მოედო,
ბევრჯერ მიაწედა აქეთ-იქით. მეც სულ განაბული ყურს
უგაბედა და გულში კი მეცანებოდა. რასაკვირველია,
თავისი სჯა ზანტობის გარემოებითი დაბოლოვა!...
ჩვენ არ შეგვიძლიან ამისედ და იმისედ დავსწე-
როთ რამეო, ამბობდა გურჯისტელი ეფენდი. კარგი
და პატიოსანი, მაგრამ ამისედ და იმისედ რომ შეიძლე-
ბა მეოქი წერა, ვკითხე მე. შეიძლება, მაგრამ მაგას
ცოდნა და შრომა უნდაო, იმან მიმასუხა. რატომ არ
შრომობთ მეოქი, ვკითხე მე. „ჩვენგან დამოუკადებელი
გარემოებისა“ გამოო. მე ისევე სიტყვილი ამიტუდა...

აი აქაური ფილოსოფია, ჩემო ჭამხა. თუ არ გინ-
და გონება გასძარა, თუ სიზნტის შეუპერხისარ და შეუ-
ბოჭისარ, სელსე „ზარმაცული გარემოება“ დაიხვე
და გაკეთდა შენი საქმე.—უველა შეგინდობს!...

ამის წინადაც წიგნთა-საცავში საბა-სულსან ორბელი
ოღლი ლექსიგონს ვათვალთვლებდი. წინა-სიტყვებში გა-

მაკვირვებ. ოცდა ათი წელიწადი მოუწია საბა-სულხან ორბელი ოღლი თავის ლექსიკონსა. ოც და ათი წელიწადი!... ესლა გი, გარწმუნებ ჩემო ჭამსა, მხელად თუ რომელიმე გურჯი ოც-და-ათ საათს წელიწადში შესწირავს რაიმე სალიტერატურო საქმეს! მართლაც და, რა გონების სიბრძნეა! აჰ, ჩემო ჭამსა, მეტად ადვილი ყოფილა ლიტერატურული სახელის შეძენა. დასწორე ორი-დე სერიანი რაიმე და მხედ არის შერთვის ლიტერატორობის სახელი. მეტი რაიმე რასაჭიროა. მერე ტანტზე წამოწევი, ყლიონი წინ დაიდგი... სასული სასულად დაგჩება და ეს „გარემოება“ თავიდაც მოგაშორებს სიზნატს... სხვა ადგილს ნიჭიერ-ზარმატს მწერლებს გაცოცხლებენ, აქ კი პატივსა და დიდებაში ჭეჭათ. სხვა ადგილს ნიჭიერს მწერალს დღე და ღამ არ მოუსვენებდნენ.—ღმერთს უხვად მოუგია ნიჭი, მიწაში ნუ ჩაჭედა, იშრომეო... აქ კი თუნდა სუთივე ქანქარა მიწაში ჩაჭედა, იშრომეო... აქ კი თუნდა სუთივე ქანქარა მიწაში ჩაჭედა, ხმის ამოდება ვინ არის. სულ ისეთი იღვწიან, რომელთაც წილად მართლ ერთი ქანქარა რეგიათ. მაგრამ ეს რას გახდება?! ისინი არა სწერენ, რომელთაც შეუძლიან და სხვები კი წელზე ოქსს იდგენ და თავიანთი ჯვარსით საზოგადოებას თავს აბეზრებენ... ვერა გამოვიანა. მე რომ აქ დიდხანს დავჩე, სწორედ ჭეუხედ შევიძლება. გებრალბოდე, ჩემო ჭამსა. მაშ შესაბრალბელი არა ვარ ისეთს საზოგადოებაში, სადაც გაცი თავის ნიჭს მიწაში ჭეჭავს და იმას მანაც პატივსა სცემენ!?

მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ბევრნი თავს იმით მართლულობენ, რომ ამა და იმ გზითის ან ყურნაღის მიმართულება არ მოგვწონს და სიარტსვილას ხვენი აზრები იქ ვადგაართო. „მიმართულება“ ესლა ყველას პირზედ აკრია, უსწორ-მასწორად ყველა ამას ჭეილებს ხელს. ეს ჩემო ჭამსა, ცარიელი ცრუ-პერტულაობა, სხვა არაფერი.

საქმე იმაშია, რომ აჭურს ყურნალ-გაზეთობას არა აქვს რაღაცა ჯანაბა „მიმართულება“. ეს „მიმართულება“ მართლ ხელის მოსაკიდი მიზეზია, რომლითაც ქსურთ სიზნატე და სიზმარმაცე დაჭედა. სად „მიმართულება“ და სად აჭურს ყურნალ-გაზეთობა! თუ მკითხავთ აქ ყველა „საკინკილაობას“ თამაშობს, ყველა თავისას გაიძახის. ყურნალ-გაზეთობაც საკინკილაობს და „დამოუკიდებელი განკმობის“ ავტორებს კი ელანდებათ, ვითომ იმათ ხელს უტარავს რაღაცა „მიმართულება“, რომელიც იმათ არ მოსწონთ... გარწმუნებ, ჭამსა, რომ ეს მართლაცა და მაგალითიც.

რა გზას ადგია თქვენი ორგანი? ვკითხე ერთს ეყენდა. ჩემი გაზეთი „ოპორტიუნისტური“ მიმართულებიანა, დრო რასაც მოითხოვს, ქარი საითკენაც

დაჭკრალავს... მაშინ სომ არც მტკიცეა აზრი შეიძლება, არც რაიმე პრინციპი მეთქი; ეგ სომ იმას ნიშნავს: ბღეს ერთი, ხვალ მეორე, ზეგ კიდევ მესამე... გამოვა ნამდვილი ლიტერატურული დომსალაბა... კიდევ კბ არის ჩვენთვის საჭირო, მიზასუსა ეყენდომ. როგორ არ იცი, რომ დრონი, და უამნი მეფობენო. მოდი და ელაზარაკე ამისთანა გაცს! ლიტერატურა და ოპორტიუნისმი! — ამას შენ ვერ გაიგებ, ჩემო ჭამსა, რადგანაც შენ მტკიცედ გწამს ერთი ღმერთი და იმისი ერთად ერთი წინასწარმეტყველი მაჭამდი... აჰ კი სულ სხვანაირად სწამთ. რა გაეწეობა!...

ხელზედ კიდევ რაღაცა ეკონომიური „დამოუკიდებელი მიზეზი“ დაუხვევიათ, დარბები ვართო, მშვირებო; ვერ გაგვადღეთ და მერე ვსწერავთო... როგორ მოგწონს? უცნო გაცს ისე ეკონება, რომ დღეს თუ ხვალ, აქ—ყველას შიმშილისაგან სული ამოსებება... მაგრამ იცი რა გითხრა, ჭამსა. ბევრმა გუჭიც გაიძლო, დივიც გაისუჭა, კისერიც გაიმსვილა, მაგრამ მანაც ისევე მტონარებას მისცემია. წინადა, რაღაცა გუჭი არა ჭქონდა მაძლარი, არც დივი ჭქონდა გასუჭებული და არც კისერი დამსვილებული, უფრო მეტს ჭეიჭობდა და უფრო მეტს გრძნობდა. რამდენია ამის მაგალითი! თუმცა გუჭი ახლოა თავზედ და უფრო ახლო გულზედ, მაგრამ მათ შორის მანძილიც საკმაოა. თუ გაცს თავში აზრი უელავს და გულში წმინდა გრძნობა უელავს, მაშინ გუჭი რა შეუშია? რას მიჭვიან გუჭისადმი დამორჩილება იქ, სადა გაცს წმინდა მოვალეობა აწევს კისერზედ?!... ჭამსა, სმა... აქ სულ მეცელს ჩასტირია! მალე გუჭი გერბი მოლახსი შეიქნება, რომელიც გადაელაზავს მთლად გაცის არსებას... აქ საკვირველია არა არის-რა, ჩემო ჭამსა. იცი, ჭამსა, მე რას გურჩევ აჭურებს: „თფილისის ბოლადელისას“ გპრდით, მეორე „ბოლადელისას“ აშენონ, შიგ მოუყარონ თავი ყველა მშვირ ლიტერატორებს, ასან, აჭამონ და სადილ-ვანშიის შეიძვე დასსან და აწერინონ... კარგი არ იქნება? შენ გაცინება. მაგრამ აქ კი ყველა სისხრულით მიეგებება მეორე „ბოლადელისას“ აშენებას...

დარბები ვართო და თუ ფასი არ გვაძლიეთ, არა ფერს დასწერთო... შრომას ფასი უნდა, ეკონომიური კანონი ამას თხოულობსო, გამახანა „ინტელიგენტები“. ფასი... შრომა... ეკონომიური კანონი!... ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ზარაფსანებაში და სავაჭრო შეიძებ-სედაც ამაზე მეტი სხვა არა ისმის... აწინდელი ბურჟუაზული ეკონომია და ლიტერატურული შრომა... ისიც სად?—გურჯისტანში!... არც მოქალაქობრივი გრძნობა, არც უნგაზო ლტოლვილება სიმართლისადმი, არც აზრის, იდეის სიყარული... გავსით-გავაჭამეთ და ყველაფერს მაშინ გააკეთებთო... გასსოვს, ჭამსა, მე და შენ რომ



ეროვნული

ზრუნის ოღის „ლიტერატურულ მხარეებს“ კითხვობდით? აზრი, იდეა, — საზოგადოებისათვის, საზოგადოებას ეუბოვანო... რა ღატებაში ვიყავით! აქ კი სსკანაირად სკანინ: აზრიც ჩვენის და იდეაც... იუდეო და მოკვიდითო! მალე ლიტერატურულ ბასისზე დასწებენ!... სკვირველი არა არის-რა იქ, სადაც ლიტერატურული იდეალი ბასრულ ანგარიშს არ განცილებია!...

ამის წინადა ვიდეამ განსკინებულ „შემსი“ წერილი დაუჭდა „ლიტერატურული ფონდის“ დასწების საჭიროებაზედ. რედაქციის სინარულით მიეგება—სწორედ რომ საჭიროა... მაგრამ „ფონდი“ რას ეუბოვს ამოდენა მძიერ ლიტერატორებს, კარგი იქნება, რომ ბნკიც დასწონ და ბანკს დაუენონ თუ-მკდომარე, დირექტორები, „ოცენნიკები“ (დამფასებლები) და ამთ გიდეუ ჯამგირი დაუნიშონს!... ჯერ „სასწაურო ბნკმა“ სომ აუუგა გუუგების მეურნეობა და „სალიტერატურა ბნკი“ რას არ იზამს—მილად აუუგებს გონიბითი გულტურას!... საჭიროა მსოლოდ „ოცენნიკები“ ისეთი იუენენ, როგორიც „სასწაურო ბნკის“ ჭეკს... გონებს სწამებებში ის აცანი ადლონ, რასაც ითხოვენ... გენტი გიდეუ შეტერბურგის ბირყსე იუოლიონ... შენ გენსებ, ჩემო ჭამსა, მაგრამ აქ კი სნადვილად ცრუ ლიტერატორები ტრბბსებენ რომ ვითომ უმეტესად ეკონომიური მიხეზი უშლიდეს ლიტერატურულ აღომბსებს! რაქნს—ეკრბბს ბმქენ!... იქ დიდი გარეთ-ურბნალების რედაქციები ვაჭრულად არიან მოწობილი... ბირველად ესა, ჩემო ჭამსა, რომ ეკრობა სსკა და გურჯისტანი გიდეუ სსკა. მეორედ ჯერ ეკრობაში რომელი პტიონისა და სინიდასანი კაცი ემადლიერება რედაქციის ვაჭრულად მოწობას, რომ ეს ვაჭრული მოწობა აქცე შემოიღონ ჩვენსა ცრუ ლიტერატორებმა. იქ ლიტერატურული აზრი ისე იუიდება, როგორც აქ ინდასსუტმა; იქ ისე უნდა მომართოშენა გონების მამანა, შენი გრმობის სადგური, როგორც ვაჭრული რედაქცია გიბმნებს—მაშინ მოგტემენ ფსსს ლიტერატურულ საქონელში!

ჩემო ჭამსა, ისიც არ უნდა დავიწყო, რასაც ბირველ წერალში გწერდ: აქურს მწერლობაში მაგრად იუესი გაუდგამს სტრბბობას, ჩინელ მანდარინობას. ამის სედ სოლიდობობა და მობილობაც უნდა დაუშტო. თუ ამ სტრბბებს პტივის არა სტემ, თუ იბითი მოკამთე სარ—რედაქციის ვინ გასუნებენებს... ჯერ მექაში უნდა ილოცო. მეტე სტრბბებს სალამ-ქალბი მისცე, მეტე გიდეუ იბითი „წილობა“ სელში იგდო... მაშინ შეიძლიან — ისიც კრბბლოთ და მოწიწებთ!—რედაქციის სკამბელსედ დაუდე! სემობბა სსქე სომ არ არის!... ახლა წამოიღვინი, ჩემო ჭამსა, რომ რედაქცია ვაჭრუ-

ლად მოაწეს, „ფონდის“ თვისმკდომარე ლიტერატორებზედ, „ოცენნიკებზედ“ სულ სტრბბები და მსდარისები დაუენეს და ამთ სელში ჩაკრდი—განს შესაძლო იქნება რაგინი აზროვნობა, თამბი კრიტიკა, ბირფოენელი მსჯელობა?!... აბა მაშინ სმა ამოილე სტრბბ-მანდარინობის ლიტერატურულ და საზოგადობრბის მოღწეობბზე—მეწმუნე გროშსაც არ მოგტემენ და მეორე ღლე სვე რედაქციის ვარს გიჩვენებენ...

ჯერ ესლა რას არა შერება ლიტერატურული მანდარინობა და მეტე რას არ იზამს. ესლა, ჩემო ჭამსა, ეს მანდარინობა თვის სულს ჭებრბვს მთლად აქურს მწერლობას, გზას და კვლას თითონ უჩვენებს, აზრის მომბობბას... თუ კონფუციის ათი-ათასი „ტერმინიდიგან“ ერთიც არის უარ ჭეუ და დავიწყო, ვაი შენი ბრლი!... იმის როდი დავაჭრებენ, რომ გავდევნიან როგორც ურწმუნოს, არა—შენი აზრის გარდა, თითონ შესს ბარბენებსა ამოულებენ, შესს ვაჭობბს ვაჭობბენ. აქ, ჩემო ჭამსა, ლიტერატორის აზრი, მიმართულება და იბანი ბირბენება ერთი-ერთმანეთისაგან ვერ გაურბენათ. თუ არ მოსწონთ და ან რისთვისმე ეზინალებათ ვისიმე აზრი, მიმართულება, იმის ბირბენებაც ეზინალებათ; ქენსში რომ შესვდესთ ამნაირი მოკამთე, სალამს არ მისცემენ, ზიზლით შესედვენ—თუ აზრი არ მოგწონს, გაცივ საზიზლარი უნდა იუოსო... ასე იცოდენენ ვკრობაშიც, საშელო საუგუნობის დროს, როცა ბმბებლობდა ნეტარსსენებული ინკვიზიცია და auto-da-fé... აქ მეცსამეტე საუგუნეშიც ლიტერატურულ ინკვიზიციას ვერ ვასცილებიან ცრუ ლიტერატორები. ვინ არის იმის წინააღმდეგი, ჩემო ჭამსა, რომ შენ ესა და ის აზრი, მიმართულება არ მოგწონდეს, მაგრამ რა შეუბია აქ კაცის ბირბენება? ჯერ აზრის შესინალებაც კი და იმისი ინკვიზიციაური დეკნა დიდ ცოდვად არის მიღებული იქ, სადაც ინკვიზიცია მოისბო და სადაც ლიბერალურს წმქენას აქურა ლიტერატორები ფარსიკვლურად არ აღვიარებენ და მწერლას ბარბენების დეკნა სომ უფრო უარესი ცოდვა უნდა იუოს და არის გიდეუ... შენ, ჩემო ჭამსა, კარვად იცა და ეკსმას გიდეუ, რომ ეველა კაცს შეუძლიან თავისი აზრი და შესედულება მწერლობაზე აღვიაროს საჭაროდ; ისიც იცა, რომ „ლიტერატურული მომთმინობა“ (литературная терпимость) დიდის სარებით სწერია დროშაზე... აქ კი ვითომ გიდეუ „ლიბერლობენ“, მაგრამ ეს მანდარინები ლიბერლობის დედა-აზრს თითონვე უარ ჭეოფენ. თუ ეს ასე არ არის, მაშ აქურა მწერლები—მანდარინები რისთვის სდვენან ეველა თავისუფელს აზრს და მწერლის ბირბენებს!...

მინაური საქმეები გამიხნდა და ნუ გეწეინება, ჩემო

წამსა, თუ წარიღო დაგიგვიანო. ზირველი წარიღო დროზედ ვერ მივიღია. მე დამნაშავე არ ვარ, თქვენსკენ ფელტა არ ვარგა. ნახვამდისინ, ჩემო კარგო. მამა-მადი იყოს შენი შემწე.

შენი მოლა ბაშირ.

თბილისი.
ენკენისთვის 29.

თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

ქველი, საშუალო და ახალი დროისა

(შემდეგია *).



მცამეტე საუკუნეში საფრანგეთში დაარსდა საერო სასილველი; სხვა სახელმწიფოებში კი მარტო სასულიერო წარმოდგენები არსებობდნენ; აქამდისაც არსებობს ზღაპრი ერთი მეცამეტე საუკუნის ნემცურთი თეატრისა მისტერიებისათვის; სცენას არც კულისები აქვს, არც მსახიობთათვის სცენასე შესასვლელ-გასასვლელი ალაგი. ისინი, ალბად, ზღაპრობრძანებდნენ კიბის შემწეობით თუ ადიონდნენ. მეთორმეტე საუკუნე ჰიესების დადგმაში ვერაფრად წავიდა წინ მეცამეტე საუკუნეზედ. ამ საუკუნეშიაც მოქმდნი ჰიონი სრულიად უმიხესოდ, მარტო ავტორების ნების ასახრულებლად, კადიან და შემოდინ სცენასე. მარტო წარწერა აუწეებს მაყურებლებს მოქმედების ალაგს.

მეთორმეტე საუკუნის დამლეკში, საფრანგეთში ვხვდავთ ჰირველს წესიერად შედგენილს დასს, რომელსაც ჰატრონობდა მეფე. ეს დასი სახელად Les confrères de la Passion, 1398 წლიდ მ მართავდა წარმოდგენებს სენტ-მორეში, ეფსენის ახლოს, და 1402 წლიდამ ჰარიეში, სდაც თავის მისტერიებს ჰმართავდა დახურულ თეატრში; წარმოდგენები დილის 12 საათზე იწეობოდა და საღამოს 5 საათზე თავდებოდა;

*) იხილეთ „თეატრი“ № 6.

წარმოდგენებს ბეჯითად თვალ-ურს დადგენებდა ზოლიცია. მეთორმეტე საუკუნეშივე საფრანგეთში დაარსდა მიმიკური დრამა და ერთგვარი სასილველი — entremetes, რომელნიც იმართებოდნენ საფრანგეთის მეფეების თავიანთ სატასტო ქალაქებში შესვლის სადღესასწაულოდ. ეველასე შესანიშნავი იყო კარლი მე V-ის დასევედრა, რომლის გამო ეველა ქუხები დართული იყო სალებით; ფროსარის მატინე დაწვრილებით ჰსწერს მძვენეორად დადგმულს მიმიკურს დრამას: „Pas du Roi Saladin“, სადაც ჰიესის გშირს დასდევა ამაღად დიდი გროვა მავრებისა, რომელნიც ეხსებნენ მეფე რიჩარდს და 12 ჰალადინიან. დინო და რმე დიოდა ქალაქის ეოველი მადრეგანიდამ. ფროსარი მოგვითხრობს, რომ მამინევე მფეთის-მობლის სობოროს ეკლესიიდა მამოვიდოდა თოკსე ერთი მოთამაშე, ანთებული ჩირადანით ხელში. ესრედ თქმული entremets-ებიდგან სსოვანაში დარჩენილა ერთი, რომელიც გაუმართავს კარლოს მესუთეს 1878 წ.

ეველა ეს წარმოდგენები იმართებოდნენ ქუხებში და მათ, თუ სასტიკათ გავსჯით, რასაკვირველია, ვერ უწოდებთ დრამატულ წარმოდგენებათ. იმ დროის მსახიობთა მორის მომეტეუანი მათგანი ჰიესების მთსეველნიც იევენ. ისინი ჰატარა ჯამავირს იღებდნენ, მკრამ კარდა ჯამავირისა მათ ეძლეოდათ დინო, ლუდი და სხვა ნაცაონალური სასმელები და საჭმელები. (ინგლისის თეატრებში გასავლის წიგნში, მუდამ შესვდება კაცი ბივშტეკის და ლუდის ხარჯს).

მეთორმეტე საუკუნის მსახიობთა სახელები თითქმის სრულიად არ ეიცით; მთსეველნი ძალიან იშვიათად აწერდნენ თავიანთ გვარებს. ჩვენამდის მოახწია მარტო შემდეგთა ფრანგების მსახიობთა სახელებმა: რენარი (1313),



ქილე, ვილენი, ჟაკემარი, ლეუკერი (ესენი გის დასს და თამაშობდნენ კარლოს მესუტის
ეკუთვნოდნენ მეუის ძმის, ორლენის გერცო- მეუობის დროს.)
(შემდეგი იქნება).

ფელტონი

მბრალე მელოდია

(ბაირონიდამ)

ჩქარა მგოსანო! სული სწუხს, შუოთავს!
ძაგუნაილა მიბრლებს მე თავს!
ჰა, ოქროს ჩანგი, წაველე ხელი:
დე! ააცურე სიმზე თითები,
ირგელივ გაფანტე მდემის ხმები
ზვემული გულის დამშვიდებელი!
და თუ არ სრულად გაქრა იმედი,
ძელავ განბრწყინდება ძველებრივ ბედი;—
ივინი გულში კვლავ აღსდგებიან...
და თუ თვალები მიბნედილები
სულ არ გამშრალან: მაშინ ცრემლები
ღაწევებს დასთრთვიდნ და დასდნებიან.

დეე! ევ მღერა იყვეს ველური.
მითა გვირგვინი ჩემი გიყური
მომბეზრებია მხიარულება.
მკოსანო! ვითხოვ, ვითხოვ ცრემლებსა
თორემ ამ გულსა განაწამებსა
შუა გააზობს ღრმა მწუხარება!
იგი ტანჯვებით იყო მოცული
და ძალზედ სძგერდა შემფოთებული.
აქ ტრიალებდა დიდ ხნობით აღი.
მხლა კი დადგა წამი განკიცხვის—
ის გავსებულა ვითა სიკვდილის
შხამით აღსაცხე მწარე ფიალი.

რ. აღისუბნელი.

ამირანი

(კახელი მჭედლის ნაამბობი).

ღილა იყო. საზედ ვარსკვლავები ქრე-
ბოდნენ; მოწითანოდ აპრიადნენ
ღრუბლები აღმოსავლეთისკენ; ნისლი თეთრად იზ-
ლაზნებოდა შიდა ძახეთის მშვენიერ არე-მარვზედ;
სიჩუმე და უადამიანობა იყო გარს; ხეებს გარშამო
ფხიზლად ეძინათ; გათოშილ და უსულო გველაშა-
პივით გამოთილს თელავიდან ახმეტისკენ გზა-ტკე-
ცილს ჩემი ცხენის ფეხის ტაკი-ტუკილა ახმიანე-
ბდა... ნაბაღში გახვეულს მე თვალები პანკისის ხე-
ობის თავიდან გამომზირალ საყორნის მთისკენ
მქონდა მიბჯენილი... ისტორიულ და გამოჩენილ
საყორნის მთისკენ, საითაც მთელი კაცობრიობის
მითოლოგიური ისტორია აბამს სვე-კრულ ამირანს...
ღარიოსი, სპართა მეფე და გამოჩენილი
აღექსანდრე მაკედონიელი მისულან ამ გორის

ძირში, გატაცებულნი ამირანზე და მის მიჯაჭვავზე
თქმული დიდებული მითით—ამბობს ისტორია. მეც
ამ ბურუსში განთიადისას მელანდებოდა, ვითომ და
იმ უზარ-მაზარ კლდეს, მართლა წყეული ყორნები
დასტრიალებდნენ და უწყალოდ უჯიჯგინდნენ ამი-
რანს სისხლში მობასრულ ამაყ გულს... ამ ლანდს
თავში დაწყობით ერთმანეთის მცვლელნი ვარიან-
ტნი ამირანის ამბისა ხან აქარვებდნენ—ხან აცხო-
ველებდნენ. ძარგა გზა გავიარე ასეთ მდგომარეო-
ბაში და უცებ წავაწყდი გლეხს, რომელსაც ტომა-
რა წამოეკიდნა და ღნჯად მიაფრატუნებდა.

მამარჯვება!

—მაგიმარჯოსო.

ჩავაცქერდი ჯმუხ და განიერ მკერდ-ტანზედ
ამაყად მჯდარ შავი წვერით მობარდულ, ამურულ



პირის-სახეს და კვლავ ვკითხე: სად გამურულხარ კაცო მეთქი?

— მჭედელი გახლავარო.

ჰო, მაშ შენ დაჰკრამ ხოლმე დიდ-ხუთშაბათობით კეერს?

— ღიახ, ბატონო, ხელობა ის გახლავთ.

ისე დღეს რაც გინდა ჰქენი—დიდ-ხუთშაბათს რალა გრჯის?

— ამირანი გემუქრება მჭედლებს.

რად?

— იმიტომ რომ, როცა ამირანი ჯაჭვით მიუბამთ კლდეზედ—გვერთ ერთგული გოზილა შარხომია. წლითი-წლობადის იმდენი ულოკნია ჯაჭვი გოზიას, რომ დიდ ხუთ-შაბად დღეს გადაწყდებოდა, მაგრამ მჭედელს კვერი დაუკრამ გრდემზედ და ჯაჭვი ისევ გამოთვლებულა.

მერე ყველას რათ გემუქრებათ?

— იმიტომ რომ, თუ ეხლა კიდეც ჩვენც პირუშურა დიდ-ხუთშაბათ დილით არ მიველით და ჩაქუჩი არ დავაკაუნეთ გრდემზედ, გოზია ჯაჭვს გადასწყვეტს, ამირანი ვეშვება და ყველა მჭედლებს ამოჰხოცამს.

მერე გჯერა ეგ?

— რა ეცი, შენი ჭირიმე, ეგრეკი, ვშვრებით ხოლმე დიდ-ხუთშაბათს და პირუშურა ყმაწვილებისთვის რკინებს დავსაორსოლაებთ ხოლმე, ჯვარს გავაკეთებთ ხოლმე—ელვა ქუხილისთვის კარგიაო—ამოზენ... იმასაც იტყვიან ხოლმე, მჭედლების გარეთად—დედაკაცებსაც ძან ემუქრება ამირანიო.

— იპათ რალათ?

— ჰე, ეს კი, მგონი მართალი უნდა იყოს... უფლია თურმე მთებში ერთ გლეხ კაცს, ერთ დიდ-კლდისთვის წამოუფლია თუ არა და ი კლდე აკი გადებულა; შიგ კლდეში კიდეც საწყალი ამირანი აბია ჯაჭვით... წინ უდევ ხმალი; ხმალს რაც ძალი და ღონე აქვს ეწოდება, მაგრამ ვერ მისწლომია, რომ აიღოს და ჯაჭვი იმითი გაკვეთო. ღიანახამს ამ ჩვენ კაცს ამირანი და დაუძახებს, ახლო მოდიო.

ძაცი ჯერ შაშინდება, მაგრამ ამირანი ეტყვის, რომ მე საწყლის და ღარბის მოკეთე ვარ,

რას მერიდები, მოდი ახლოო. თურმე მჭედლებს ზურგზედ ჰურის გუდა ჰკიდებია; ახლო რომ მოსულა, ამირანს ამოუღია გუდიდან ჰური, მოუჭერია ხელი. „შე პურს როგორ სჭამთ, თქვე საწყლებო, ასეთ შავს ოფლში არის მოხვლილოო“:

— „შენ მაშ როგორ პურსლა სჭამო?“ ეკითხნა თავის მხრით გლეხსაც.

— „ბი როგორსაო“ ეთქო ამირანს და რა მევეჭირებინა ხელი, რძე კი გასლოდა წურწურაით.

„მე რომ ავეშო ქვეყანაზედ სისხლის პურის ჭამა აღარ იქნებაო“ ეთქვა ამირანს დაღონებით.

— მე გიშველიო!—დაეძახა გლეხს.

„თუ მიშველი, ეგ ხმალი მამაწოდე, რომ ჯაჭვი გადავჭრაო.“ კაცი დასწდომოდა, მაკრამ აღვილიდამაც ვერ დაეძრა. ამირანს ეთქო: გაწევი, ხელები ხმალს ჩაჰკიდე, მე გამოკწევ და ეგებ მოვიტრიოთო; მაგრამ ფეხებიდან რო გვეწივნა, კანა-

ლამ გლეხი არ გაწყვეტილიყო. „მაშ გაიქე საჭკაროთ და შინადან ღვედები ამოიტა, მხოლოდ ხმა არავის გასცე, თორემ კლდე შაიკერებაო“—ეთქო ამირანს.

ზღეხი შინისკენ დაშვებულიყო, აელო ღვედები და პირ-უჩუმრად აპირებდა წასვლას; მაგრამ გადველობა კარებში დედაკაცი და ი წყეულმა დაიწყო ჩხუბი: „სად მივაქვს ღვედები, შე დასაბრმავებელიო! ეგლა დაკრჩა დასაწყვეტო?“

კაცი, რომ ხელით მოიცილებდა, დედაკაცი უფრო აფოტრდებოდა და არ უშვებდა—„არ დამანებებ თავს, შე აღქაჯოო?“

შაჰყვირა გულ მოსულმა კაცმა და მოავლო კეტს ხელა... კლდე მაინც შაიკრა და დარჩა ქვეყანა ამ პურის ანაბარას, თორემ....

ამ თორემზედ მჭედელი დიდხანს იყო დაყოყმანებული, სინამ მე არა ვკიდხე: ვის და რათ მიუბამ ამირანი ჯაჭვით მეთქი?

ამბობენ ცას შაჰბმია—ქვეყანა მადლიანად არ არის მომართულიო და იმაზედ მიუბამო-თქვა და-

ღრომით, მჭედელმა და მითხრა რა მმვილობითო, შებრუნდა დინჯათ სოფელში. ზამარჯვებით-მეთქი, მივაძახე მეც და შევაწუხე ცხენი....

შაქრო.

28 ენენისოფს 1885 წ.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრი

რუსული ოპერა. ქვირას, ნ ოქტომბერს თბილისის თეატრში წარმოადგინეს ბ. ჩაიკოვსკის ოპერა „მეგენი ონგენი“. ამ ოპერის შინაარსი აღებულია გამოჩენილი რუსის პოეტის ა. პუშკინის თხზულებიდან. თვით ოპერა, „მეგენი ონგენი“ ძალიან ცოტათი ჩამოგავს ნამდვილ ოპერას, რადგანაც ბევრი წილი ამ ოპერისა ლაპარაკს შეადგენს და არა გალობას. თვით ბ. ჩაიკოვსკიც ოპერად არ უწოდებს თავის თხზულებას, არამედ **ლირიკულ სიმფონიად**. თუმცა ეს ასეა მაგრამ მაინც ამ ესრედ წოდებულ ოპერაში ბევრი ჩინებული ადგილებია მუზიკის და გალობის მხრით, როგორც მაგალითად, ტატიანას სცენა წერილის შესახებ, ლენსკის არია: „Куда вы удалились“, ბალი გარინისას, კომიკური კუბლეტები ტრიკესი, ცეკვა და დასასრული სცენა ჩხუბისა ონგენის და ლენსკის შორის. ძალის ხორო „Дѣвица красавица“ ჩინებული მოსასმენია, ეს ნამდვილი რუსული ელეგიური მელოდიაა. რაც შეეხება ამ ოპერის დადგმას თბილისის სცენაზე, თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უკეთესათ აღარ შეიძლებაოდა. ქ. ზარუდნაია ჩინებულად ასრულებდა ტატიანას როლს; აგრეთვე ბ. ბუზოვეცკი ონგენის როლს კარგად ასრულებდა გალობის მხრით, თუმცა კი თვით შეხედულება და მიხვრა მოხვრა ბ. ბუზოვეცკისა ცოტა არ იყოს არ ეთანხმებოდნენ ონგენის სურათს. დანარჩენ არტისტებსაც არ უჭირდათ რა. ორკესტრი და ხორო

კარგად იყენენ მომზადებულნი, თეატრში ტევა არ იყო.

სამშაბათს, 8 ოქტომბერს, წარმოადგინეს ვერდის ოპერა „აიდა“. არც ამ ოპერამ, ჩაიარა ცუდათ. ქ. ზარუდნაია (აიდა), სმიროვისა (ამნერის), და მასიმი (რადომესი) კარგები იყვნენ. ხალხმა ბევრი ტაშის კვრა უძღვნა მათ. თეატრი ნახევრათ თითქმის ცარიელი იყო. დრამატიულ წარმოდგენებზე ხალხი სრულებით არ დაიარება. კვირაში ერთხელ იმართება ხოლმე დრამატიული წარმოდგენები და ყოველთვის ცარიელია თეატრი. ურიგო დასი არა ჰყავს ბ. შითუაშვილს და რა მიხვწია, რომ ხალხი არ დაიარება?

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ცოტას ხანში ჩვენ გვესტუმრებიან კონცერტების გასამართავად გამოჩენილი პიანისტი, პროფესორი პეტერბურღის კონსერვატორიისა ბ. ძლიმოვი და მთელს ევროპაში ცნობილი ბ. ვურმი დამკვრელი cornete à piston-ზე.

დღეს ქართულმა დრამატიულმა დასმა მოიწვია თეატრში გამოჩენილი რუსების მხატვარი ბ. მაკოვსკი, ავტორი ბევრი მშვენიერი სურათებისა. წარმოადგენენ ბ. ცაგანდის კომედიას «სანუმა» და ერთ მოქმედებიან კომედიას «ჯერ ღედა». ხანუმას როლს ასრულებს ნ. მ. გაბუნია-ცაგანდასა, ტერტირიანთ აკოფას როლს ვ. ანაშაძე.



როდის არის კასი ბედნიერი

- როდესაც გეწვის სახლი, ორ ფასად დაზღვეული.
- როდესაც ინიშნები ბანკში კასირად.
- როდესაც შეგვგუფულ ხალხში, პორცმონეს ვერ მოგპარავენ და საათს ვერ ამოგაცილიან ფიბიდან.
- როდესაც ავათყოფობისაგან განთავისუფლდები უეჭიმით
- როდესაც ცოლი კრავი გყავს და არა მგელი.
- როდესაც, რკინის გზით მიმავალი, ბინამდე მშვიდოვით მიადგები.

- როცა ჰხედავ, რომ ქალაქის გამგეობის ხმოსნებს კრებებზედ არ სძინავთ.
- როდესაც გესმის რომ მართლ-მსაჯულება არ ამართლებს საზნის ქურდს.
- როცა დალაქი, პარსვის დროს, ცხვირს არ მ. ატყრის,
- როდესაც ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი არა ჰყიდის რომელიმე აზნაურის მამულს.
- როდესაც არ მოგდისთ „ივრია“ და „მწეფისი“.

დამბეჭად სპიობი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(სურათზე).

გამოჩენილი ინგლისის მწერალი დეონტან სვიფტი დაიბადა დუბლინში 30 ნოემბერს 1663 წელს ინგლისელ მშობლებისაგან. დიდი სიღარიბე გამოიწვია სვიფტმა ამ ხანში როცა გარდასტავა უფიარებლობა და გული სასკვა იმედებით. გარდა სიღარიბისა სვიფტი უკვლასაგან მოძულეული იყო, მაგრამ იგი მაინც გრძნობდა თავის დონეს. დიდს კაი ვაგდასით შესარულა მან კურსი რე-

სფორდის უნივერსიტეტში. სწავლას შემდეგ მან ამოიჩინა სასულიერო წოდების ასპირენი. როგორც გამოჩენილი მწერალი ის შესანიშნავი თავის თსზულებათ „გულიერის მოგზაურობა“.

ეს შესანიშნავი თსზულება წარმოადგენს საოცარ საწყისს (დაცინავს) მშინდელ ებოქის ინგლისის მართებლობისას.

რედაქტორა და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

„თეატრი“

გამოცემა 1885 წ. ენკენასოვიდამ ქ. თბილისში. გარდა შირ-და-შირი თავის დანაშნულებას, ქ. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერის, „თეატრი“, ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით „თეატრი“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სსგა-და-სსგა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ „თეატრი“-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა. „თეატრი“ გამოვა კვირბაში ერთსეულ კვირბობით. ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამა (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.


სელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში აშუთისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესა: Тифлисъ, редакция „Театръ“.

ახალი ამბავი

ამ ცოტას ხანში ჩვენს ქალაქს ესტუმრება ერთადერთი მთელს რუსეთში გამოჩენილი დამკერელი უბრალო საჰვაწვილო ბარმონიკაზე, გამოჩენილი პიანისტი და კომიკი ა. ი. გორსკი, რომელიც გასაოცარის სიჩქარით უკრავს უბრალო გარმონიკაზე უძნელეს პიესებს ყოველ ოპერებიდამ. ბ. გორსკის მთელი რუსეთი აქვს მოვლილი ყველგან დიდ ახტაცებაში მოჰყავდა ხალხი. ზოგიერთ ნომრებს ბატ. გორსკი აასრულებს ცალი ხელით გარმონიკაზე და ცალით როიალზე. ძონცერტები იქნება გამართული არწრუნიხეულ თეატრში. ბილეთების ყიდვა ამ თავითვე შეიძლება.

გაზეთი „თეატრის“ ფასი
სექტემბრიდამ იანვრამდე—2 მანეთი.
რედაქციის ადრესი: Базарная улица,
домъ Тамамшевой, № 16.

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისუილება
მესის ამბავი
ნათარ. ვი. შარაშაძისაგან.
ფასი 15 კაპ.



ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ
 ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА
 КАРСКОЙ ОБЛАСТИ
 ОТКРЫТА ПОДПИСКА
 НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

НА 1885 ГОДЪ.

Газета „КАРСЪ“ въ 1885 издается на тѣхъ-же основа-
 ніяхъ, какъ и въ прошломъ году, по той-же программѣ и подъ тою-
 же редакціею.

Условія подписки: съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за
 четыре мѣсяца одинъ рубль. Подписка принимается въ Канцелярїи Военнаго
 Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородныя.

საღგამო წერა-ქითვის ბამბაცემდე-
 ბული საზოგადოებისა ქართვეთა უო-
 რის ფალატანილ იქმნა მიხეილას ქუბილ-
 გან ბანკის უმსაბრუნველ (Банковскій
 переулкь).

(1-3)

მიიღება ამ 1885 წ. სელის მოწერა
 ყრმათა საკითხავი საყოველთვეო სურათებიანი უურნ.

„ნობათი“

პედგოგური ნაწილის დამატებით—
 მშობელთათვის და აღმზრდელთათვის.
 მთელი წლით ყურნალი „ნობათი“ ღირს
 ოთხი მანათი. სელის მოწერა მიიღება
 „ნობათი“-ს რედაქციაში.

„ნობათი“-ს რედაქცია ახალს სადგურ-
 ში გადავიდა.

ადრესი: სოლოლაკი, ფრეილინის ქუ-
 ჩა, № 7, ჩაიგეშტოვის სახლი.

(3-1)

ამ 1885 წელს ყურნალს „ივერ-
 რიაზედ“ სელის მოწერა მიიღე-

ბა მხალად მოქელის წლით. ფასა მთელის
 წლისა შვიდი (7) მანათი. სელის მოწერა
 მიიღება „ივერია“-ს რედაქციაში, მისილავის
 ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში,
 (მისაკვალა ესოდამ). გარეშე მცხოვრებთათვის
 ადრესი: Въ Тифлисъ, Въ редакцію жур-
 нала „Иверія“.

ზ. ჩარკვიანის
 ქართული წიგნის მაღაზიაში იხილდება
 ქართული მოძრავი ასოები,
 შედ. ალ. მიჩინაძისაშვილისაგან.

ფასა 1 მან.

ქართული ანბანი კუბიკებზედ
 ფასა 70 კაპ.

წ ნ ბ ა


რაქინის ბზა

ფოსტის მატარებელი მიღის.

თბილისილამ ბათუმისაკენ
 დილით. 8 35
 ბათუმილამ თბილისში შემო-
 დის ღამით. 10 25
 ბაქოლამ თბილისში შემო-
 დის დილით. 8 „
 თბილისილამ სურამისაკენ
 ნაშუადღევს. 3 15
 სურამილამ თბილისში შე-
 მოდის დილით. 8 24

სათაოწამი	
8	35
10	25
8	„
3	15
8	24